ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის ოქმი N7

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65 10.01.2018 წ.

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - *ალექსანდრე ლილუაშვილი.*

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი: – ალექსანდრე ლილუაშვილი, გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაიძე, ტარიელ ბარამიძე, რამაზ არველაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, ზელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, ალექსანდრე ოქროპირაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, ამირან ტალახაძე, პაატა ხურციძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე, აპოლონ რამიშვილი.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ბიჭიკო პაიკიძე, თამთა დვალიშვილი, მალხაზ ცერცვაძე, დავით კაკაბაძე, თორნიკე ერისთავი. (დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო და იურიდიული განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - **ლუბა გოგოძე.**

მოწვეული პირები:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი- **ივანე მამფორია;**

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **ზვიად კაპანაძე.**

ვანიმ მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი **ნარგიზი ალფაიძე.**

სხდომის თავმჯდომარე ალექსანდრე ლილუაშვილი საკრებულოს ღია სხდომას 11^{00} საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

   მომხს./გიორგი ივანიაძე/

2. ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს. /ივანე მამფორია/

3. ახალშობილთა ოჯახებისათვის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

   მომხს./ზვიად კაპანაძე/

4. დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

   მომხს./ზვიად კაპანაძე/

5. დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

   მომხს./ზვიად კაპანაძე/

6. მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

   მომხს/ზვიად კაპანაძე/

7. მეორე მსოფლიო ომისა და ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის და 9 აპრილის დაზარალებულთათვის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

   მომხს./ზვიად კაპანაძე/

8. მზრუნველობამოკლებულთა კვებითი უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ;

   მომხს./ზვიად კაპანაძე/

9. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

   მომხს./ზვიად კაპანაძე/

10. პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

    მომხს./ზვიად კაპანაძე/

11. საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

მომხს./ზვიად კაპანაძე/

12. სამედიცინო დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

მომხს./ზვიად კაპანაძე/

13. სარიტუალო დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

მომხს./ზვიად კაპანაძე/

14. სტუდენტთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

მომხს./ზვიად კაპანაძე/

15. სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

მომხს./ზვიად კაპანაძე/

16. ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ;

მომხს./ზვიად კაპანაძე/

17. ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საფეხბურთო კლუბ ,,სულორი -ვანის'-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ

მომხს./თამილა თავაძე/

წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე – 30
წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგის პირველ პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალი საკრებულოს რეგლამენტი

შედგება 20 თავისგან და 149 მუხლისგან. ძირითადი ცვლილებებია: საკრებულოს რიგითი სხდომა გაიმართება ყოველი თვის მეორე ოთხშაბათს, ნაცვლად ხუთშაბათისა. რეგლამენტიდან ამოღებულია სიტყვა გამგებელი და გამგეობა და შესაბამისად ჩასმულია მერი და მერია. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს დაემატა ფუნქციები: საკრებულოს ბიუროს სხდომების მომზადების ორგანიზება, საკრებულოს აპარატის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა, საკრებულოს კომისიების მუშაობის, კომისიებისა და მერიის შესაბამისი სამსახურების, საკრებულოსა და მოსახლეობის ურთიერთობების ხელშეწყობა.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა, სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“:

მომხრე – 30

წინააღმდეგი – არცერთი

გადაწყვიტეს: მიღებულ იქნას დადგენილება „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ და ძალადაკარგულად გამოცხადდეს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის N13 დადგენილება.

(დანართი: დადგენილება N48)

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეორე საკითხთან პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მოვალეობის შემსრულებელი ივანე მამფორია, რომელმაც წარმოადგინა დადგენილების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და განმარტა, რომ დადგენილების პროექტის თანახმად, 2017 წლის გარდამავალი ნაშთის ბიუჯეტში ასახვის შედეგად, რომელიც მიიმართება იმავე დანიშნულებით, ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი იზრდება 2857,7 ათასი ლარით, საიდანაც: 2644,4 ათასი ლარი წარმოადგენს მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების, ხოლო 213,3 ათასი ლარი საკუთარი სახსრების ნაშთს. მთავრობის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთს შეადგენს: ა) N2712, 27.12.2017 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოთ გამოყოფილი თანხები 2000,0 ათასი ლარის ოდენობით; ბ) N1409, 18.07.2016 განკარგულებით სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოთ გამოყოფილი თანხების ნაშთი 178,5 ათას ლარის; გ) N480, 14.03.2017 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ნაშთი 142,7 ათას ლარის (სასწრაფო სამედიცინო ცენტრის მშენებლობა 122,8 ათასი ლარი, საპროექტო ზედამხედველობის განსახორციელებელი თანხა 19.9 ათასი ლარი). დ) N1401, 06.07.2017 განკარგულებით გამოყოფილი თანხების ნაშთი 256,3 ათას ლარის. (ქ. ვანში 26 მაისის და სოლომონ მეორის ქუჩების კვეთაზე, თავისუფლების ქუჩაზე ეპარქიის მიმდებარედ და ცენტრალური მოედნის ჩრდილოეთით სკვერების რეაბილიტაცია). ე) N39, 20.01.2015 განკარგულებით გამოყოფილი ამაღლება-საპრასიის თემების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის საგარანტიო თანხის ნაშთი 5.9 ათას ლარის. ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ნაშთი 61.0 ათას ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მეორე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები?

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 28

წინააღმდეგი - 2 (კობა ძაგნიძე, გია ოჩხიკიძე)

დაადგინეს: დამტკიცდეს დადგენილება ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე."

(დანართი: დადგენილება N49)

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ახალშობილთა ოჯახებისათვის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" და განმარტა, რომ

ახალშობილთა ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარება პირველ შვილზე 300 ლარია, მეორეზე 350 ლარი, მესამე შვილზე და მომდევნოზე 500 ლარი, ტყუპების შემთხვევაში თითოეულ ბავშვზე 500 ლარი. სავალდებულოა ახალშობილის მამა და ახალშობილი რეგისტრირებული უნდა იყოს ვანის მუნიციპალიტეტში, დახმარება მიეცემა დედას ან მამას, დახმარების მისაღებად განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი რეკვიზიტები: ბავშვის დაბადების მოწმობა, მამის პირადობის მოწმობა.

სხდომის თავმჯომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მესამე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები?

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „ახალშობილთა ოჯახებისათვის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ.

(დანართი: განკარგულება N 27/16).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეოთხე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" და განმარტა, რომ დიალიზის პროგრამაზე მყოფ მოქალაქეთა მგზავრობის ღირებულებისა და მკურნალობისათვის აუცილებელი მედიკამენტების შესაძენად თანხის ანაზღაურება, დახმარების მოცულობა განსაზღვრულია ყოველთვიურად 200 (ორასი) ლარის ოდენობით. დახმარების მთხოვნელმა უნდა წარმოადგინოს განცხადება, პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ფორმა N100 და საბანკო რეკვიზიტები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მეოთხე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები.

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ"

(დანართი: განკარგულება N27/17).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეხუთე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი „დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარების პროექტის დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ

დღეგრძელთა (100 ან მეტი წლის) მატერიალური დახმარება განსაზღვრულია 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, რომელიც მიეცემა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულს არანაკლებ 2 წლისა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მეხუთე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები.

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე -30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „ დღეგრძელთა (100 ან მეტი წლის) დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ."

(დანართი: განკარგულება N 27/18).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეექვსე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი „მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარების დამტკიცების შესახებ" და განმარტა, რომ პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებს, რომლებიც ღებულობენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ასევე რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 100 000 -მდე სარეიტინგო ქულა.

დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარჩენალგარდაცვლილი ოჯახები.

ფინანსური დახმარება გაიცემა 250 (ორასორმცდაათი) ლარის ოდენობით, სოციალურად დაუცველ მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებზე, ერთ ბენეფიციარზე.

150 (ასორმოცდაათი) ლარი მარჩენალგარდაცვლილ ოჯახებზე, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს ერთ ბენეფეციარზე.

დედმამით ობლებს, რომლებიც იღებენ მარჩენალის გარდაცვალების გამო სოციალურ პაკეტს, ერთ ბენეფიციარზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მეექვსე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები.

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „მარჩელაგარდაცვლილი პირთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ.“

(დანართი: განკარგულება N 27/19).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეშვიდე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი „მეორე მსოფლიო ომისა და ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის და 9 აპრილის დაზარალებულთათავის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ “და განმარტა, რომ ფულადი დაფინანსება განსაზღვრულია: მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისათვის 500 ლარი და ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის 300 (სამასი) ლარის ოდენობით, 9 აპრილს დაზარალებულთათვის 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ერთჯერადი დახმარება.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მეშვიდე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები.

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „მეორე მსოფლიო ომისა და ჩერნობილის ატომური ელ. სადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის და 9 აპრილის დაზარალებულთათვის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ.“

(დანართი: განკარგულება N 27/20).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მერვე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი „მზრუნველობამოკლებულთა კვებითი უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ და განმარტა, რომ

დახმარებით (უფასო სასადილოთი) ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მზრუნველობამოკლებული (უკიდურესად გაჭირვებულნი) რეგისტრირებული პირები, დახმარება გაიცემა პროგრამაში ჩართულ ერთ ბენეფეციარზე დღეში ერთჯერ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მერვე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები.

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „მზრუნველობამოკლებულთა კვებითი უზრუნველყოფის პროგრამის დამტკიცების შესახებ.“

(დანართი: განკარგულება N 27/21).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეცხრე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და განმარტა, რომ დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები, თითოეულ ბავშვზე გაიცემა 100 (ასი) ლარის ოდენობით ((ოთხი ან მეტი არასრულწლოვანი შვილი). ფინანსური დახმარება მიეცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერად.

სხდომის თავმჯომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მეცხრე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები.

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ."

(დანართი: განკარგულება N 27/22).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეათე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი „პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" და განმარტა, რომ

დახმარებით ისარგებლებენ მხოლოდ პირველი ჯგუფის ინვალიდები, რომლებიც არიან ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის ფინანსური დახმარება გაიცემა 200 (ორასი) ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მეათე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები.

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ."

(დანართი: განკარგულება N27/23)).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეთერთმეტე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" და განმარტა, რომ

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის საბრძოლო მოქმედებისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახებისათვის დაღუპულ მეომართა ოჯახის წევრზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაიცემა 500 ლარის ოდენობით.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მეტერთმეტე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები.

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „საბრძოლო მოქმედების შედეგად დაღუპულთა ოჯახებისათვის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ."

(დანართი: განკარგულება N 27/24).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეთორმეტე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,სამედიცინო დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ'' და განმარტა, რომ დახმარების მოცულობა განისაზღვრება პაციენტის გადასახდელი თანხის მაქსიმალური დაფინანსებით არაუმეტეს 700 (შვიდასი) ლარიანი ლიმიტით (პაციენტმა ისარგებლოს წლის განმავლობაში ლიმიტიტ გათვალისწინებული თანხის ამოწურვამდე) შემდეგ კატეგორიებზე:

ა) მოქალაქეებზე, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 65 000 -ს ჩათვლით;

ბ) 18-წლამდე ასაკის ბავშვებზე, რომელთაც სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში მინიჭებული აქვთ სარეიტინგო ქულა 1-დან 100 000-ს ჩათვლით;

გ) ონკოლოგიური (მხოლოდ ავთვისებიანი სიმსივნე) დაავადების მქონე პაციენტებზე;

დ) გულის დაავადებათა მქონე პაციენტებზე;

ე) C ქრონიკული ჰეპატიტით დაავადებულებზე;

6.1 ბენეფიციარს, რომელიც ამ მუხლით ისარგებლებს, არა აქვს უფლება ისარგებლოს ამ პროგრამის მე-7 მუხლით.

7. დანარჩენი კატეგორიის მოქალაქეებისა და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება განისაზღვროს ერთჯერადად მოთხოვნილი თანხის (პაციენტის გადასახდელი) 50%-ით და დახმარების მოცულობა განისაზღვროს არა უმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ამ

კატეგორიისათვის პროგრამა არ ითვალისწინებს 300 ლარზე ნაკლები ღირებულების სამედიცინო მომსახურების თანხის დაფინანსებას;

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მეთორმეტე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები.

საკრებულოს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა, დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „სამედიცინო დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ."

(დანართი: განკარგულება N 27/25).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეცამეტე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,სარიტუალო დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" და განმარტა რომ პროგრამის მიზანია:

ა) სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა;

ბ) ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილის ოჯახისთვის მატერიალური დახმარების გაწევა;

გ) საქართველოს კანონებით: „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ", „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შედეგად გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ" გათვალისწინებული ვალდებულებების დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესრულება. გარდაცვლილი ვეტერანის და დევნილის ოჯახებისათვის მატერიალური დახმარების გაწევა;

3. განსახორციელებელი ღონისძიებები:

ა) სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 1-70000-ის ჩათვლით, ხოლო არასრულწლოვან გარდაცვლილზე 1-100000-ის ჩათვლით) გარდაცვლილის დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

ბ) გარდაცვლილი ჩერნობილის ტრაგედიის მონაწილის დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

გ) გარდაცვლილი ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის ოჯახის წევრზე ან დასაფლავების ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით;

დ) გარდაცვლილი დევნილის ოჯახის წევრზე ან დაკრძალვის ხარჯების გამღებ პირზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაცემა 200 (ორასი) ლარის ოდენობით, იმ ოჯახებს, რომელთაც სარეიტინგო ქულა აქვთ 1-70000-ის ჩათვლით, დახმარება მიეცემათ 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ხოლო იმ ოჯახებს, რომელთაც სარეიტინგო ქულა აქვთ 70000-დან 100000-ის ჩათვლით მიეცემათ 300 (სამასი) ლარის ოდენობით.

დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,სარიტუალო დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“

(დანართი: განკარგულება N27/26).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეთოთხმეტე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზ მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტ „სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ს განმარტა, რომ პროგრამა ითვალისწინებს დახმარების გაწევას ვანის მუნიციპალიტეტ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სტუდენტებზე, რომელთა ოჯახები იმყოფება სოციალურა დაუცველთა ერთიან ბაზაში და მინიჭებული აქვთ 1-100000-მდე სარეიტინგო ქულა, ასევე პირველ ჯგუფის ინვალიდი სტუდენტებისთვის.

დახმარების მოცულობა განისაზღვროს თითოეულ სტუდენტზე არაუმეტეს 500 ლარისა, ხოლ პირველი ჯგუფის სტუდენტებისთვის 1000 ლარი, მიუხედავათ სარეიტინგო ქულისა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მეთოთხმე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები.

დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ.“

(დანართი: განკარგულება N 27/28).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეთხუთმეტე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი „სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ და განმარტა, რომ პროგრამა ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაწევას დაზარალებული ოჯახებისთვის, რომელთაც ხანძრის შედეგად დაეწვათ საცხოვრებელი სახლი ან სტიქიური მოვლენების შედეგად (მეწყერი, ღვარცოფი, კლდეზვავი, ქვათა ცვენა, წყალდიდობა, ძლიერი ქარი) დაზარალდნენ.

3. დახმარებით ისარგებლებენ ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახები.

ა) ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახი განისაზღვრება შსს-ს სსიპ საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს იმერეთის საგანგებო სიტუაციების მართვის სამმართველოს ვანის სახანძრო სამაშველო განყოფილების მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე;

ბ) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახი განისაზღვრება ვანის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 ნოემბრის N 20 1295 ბრძანებით შექმნილი სტიქიური მოვლენების შედეგების შემსწავლელი და შენობა-ნაგებობების დეფექტური აქტების შემდგენი მუდმივმოქმედი კომისიის დასკვნის საფუძველზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს ხომ არა გაქვთ მეთხუთმეტე პროექტთან რაიმე მოსაზრებები ან შენიშვნები.

სიტყვა ითხოვა გელა ჩიკვაიძემ: მიზანშეწონილად მიმაჩნია რომ აპროექტში ამოღებული იქნას მე-7 მუხლი:,,დახმარებით ისარგებლებენ ის დაზარალებული ოჯახები, რომლებსაც დაუზიანდათ

ერთადერთი საცხოვრებელი სახლი, სადაც ცხოვრობდნენ და სხვა ალტერნატიული საცხოვრებელი სახლი არ გააჩნიათ.'' საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ გელა ჩიკვაიძის წინადადებას

დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი შეცვლილი ვარიანტით დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება პროექტი „სტიქიით დაზარალებულთა დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ"

(დანართი: განკარგულება N27/29).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეთექვსმეტე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი ზვიად კაპანაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" და განმარტა, რომ პროგრამა ითვალისწინებს:

ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (შშმპ) 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ერთჯერადად ფულადი დახმარების გაწევას.

გ)18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვებისათვის ყოველთვიურად დახმარების გაწევას.

3. პროგრამით ისარგებლებენ:

ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (შშმპ) 18 წლამდე ასაკის ბავშვები და 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვები.

4. ბენეფიციარი განისაზღვრება განცხადების/მომართვის, შესაბამისი დოკუმენტაციის და მოკვლევის მასალების გათვალისწინებით.

ა) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვის მეურვემ უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა ან ID ბარათი, საბანკო რეკვიზიტი,ბენეფიციარის დაბადების მოწმობა და ცნობა სსიპ-დან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის გამო სოციალური პაკეტის მიღების თაობაზე.

ბ) ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვის მეურვემ უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობა ან ID ბარათი, საბანკო რეკვიზიტი, ბენეფიციარის ჯანმრთელობის ცნობა ფორმა N100, ბავშვის დაბადების მოწმობა.

5. ფინანსური დახმარება (შშმპ) 18 წლამდე ასაკის ბავშვებს მიეცემა საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთჯერადად - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, უნაღდო ანგარშსწორებით.

6. 18 წლამდე ასაკის ბავშვებს, რომლებიც დაავადებული არიან ფენილკეტონურიით დახმარება გაეწევა ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით, უნაღდო ანგარიშწორებით.

დისკუსიის დასრულების შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება „ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ.“

(დანართი: განკარგულება N27/30).

მოისმინეს:

დღის წესრიგის მეჩვიდმეტე პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს სხდომაზე მომხსენებლად გამოვიდა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული განყოფილების მთავარი სპეციალისტი ნარგიზი ალფაიზე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საფეხბურთო კლუბ ,,სულორი -ვანის'-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე მუხლის მეორე პუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ნორმატული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25 მუხლის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ვანის ვანის მუნიციპალიტეტიტის მერს ბრძანების პროექტზე ,,ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არკომერციული) იურიდიული პირის ,,საფრხბურთო კლუბ ,,სულორი-ვანი''-ს (ს/კ229660168) წესდების დამტკიცების შესახებ.

თავმჯდომარემ საკითხი შეცვლილი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე - 30

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: დამტკიცდეს განკარგულება ,,საფეხბურთო კლუბ სულორი-ვანის" იურისტი თამილა თავაძე, რომელმაც წარმოადგინა განკარგულების პროექტი ,,ვანის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საფეხბურთო კლუბ ,,სულორი - ვანის'-ს (ს/კ 229660168) წესდების დამტკიცების შესახებ" ვანის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების პროექტზე თანხმობის მიცემის შესახებ.

(დანართი: განკარგულება N27/31).

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის თავმჯდომარე